

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

18 ივნისი, 2015 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალამის მიერ; და

მეორე მხრივ, შპს „Iori Hydro„ (შემდგომში "კომპანია") ს/კ: 404940383, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ზარიძის (პ/ნ 01024031423) მიერ;

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში "მემორანდუმი") შემდეგზე:

1. მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, წინამდებარე მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლა და მისი/მათი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება ამ მემორანდუმით და მხარეთა შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით (შემდგომში „პროექტი“).

2. პროექტის ვადები და პირობები

2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან 6 (ექვსი) თვეში უზრუნველყოფს:

ა) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული მდინარეების ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის დასრულებას მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

ბ) დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას.

2.2. იმ შემთხვევაში, თუ 2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ, 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობაზე;

ბ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის დადგმულ სიმძლავრეს და საშუალო წლიურ გამომუშავებას;

გ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ადგილმდებარეობის ზუსტ კოორდინატებს და მდინარის შესაბამის ნიშნულებს;

დ) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღებს, აგრეთვე თითოეული

ჰიდროელექტროსადგურისთვის განსახორციელებელი ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;

ე) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ განხორციელებადობის კვლევებს და მასთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას, მათ შორის 2 მგვტ და მეტი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განთავსების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

ვ) წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვადითა და ოდენობით სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-სათვის მისაყიდი ელექტროენერჯის ფასს.

2.3. 2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.

2.4. 2.3. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვისა მხარეთა შორის იდება ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“).

2.5. ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან კომპანია ვალდებულია დადგენილ ვადაში და პირობებით მშენებლობის ნებართვის საფუძველზე თითოეული ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია, ასაშენებელი ელექტროსადგურის ან ელექტროსადგურების კასკადის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) ოდენობით (შემდგომში „სამშენებლო გარანტია“). ამასთან, სამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. სამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 (თხუთმეტი) პროცენტს.

2.6. მთავრობა, ამ მემორანდუმის დადებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.7. წინამდებარე მემორანდუმის 2.4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების ვადის ამოწურვამდე მთავრობა არ გადასცემს სხვა პირ(ებ)ს დანართი N1-ით გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას, რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის

შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება ან/და ამ მემორანდუმის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ. გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.8. მთავრობა უფლებამოსილია 2.6. ან/და 2.7 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე კომპანიის თანხმობის გარეშე გადასცეს დანართი N1-ით განსაზღვრულ იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლება სხვა პირს, რომელზეც (რომლებზეც):

ა) მთავრობას გააჩნია საფუძვლიანი და დასაბუთებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კომპანია ვერ უზრუნველყოფს დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ჩატარებას;

ბ) კომპანიამ დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ზე დაარღვია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ნებისმიერი ვადა (დანართი N2);

გ) კომპანიამ დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)იდან ერთ-ერთის მშენებლობაზე წერილობით უარი განაცხადა.

2.9. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული დანართი N1-ით გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის ნახაზები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, თუ:

ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წინადადება არ იქნა წარდგენილი;

ბ) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე;

გ) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება;

დ) დადგა 2.8 პუნქტის შესაბამისი ნებისმიერი გარემოება.

2.10. მთავრობა უფლებამოსილია მოითხოვოს და კომპანია ვალდებულია დაეთანხმოს დანართი N1-დან და დანართი N2-დან იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ამოღებას, რომელთა:

ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება;

ბ) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე;

გ) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და

კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება.

2.11. ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად აშენებული თითოეული ჰიდროელექტროსადგურის, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი (“ზამთრის პერიოდი”)) წლიური გენერაციის არანაკლებ 20 (ოცი) %-ის ექსკლუზიური რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს შიდა (ადგილობრივ) ბაზარზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

2.12. თუ ელექტროსადგურ(ებ)ის განთავსების სავარაუდო ადგილი აღმოჩნდება დაცული ტერიტორიის ფარგლებში, ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობა ვერ განხორციელდება. თუ სავარაუდო ტერიტორიებზე არსებობს ლიცენზირებული კარიერი ან წიაღისეულის საბადო, საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებული პირმა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა მოიპოვოს წიაღით მოსარგებლის შესაბამისი თანხმობა, ხოლო ელექტროსადგურ(ებ)ის განთავსების სავარაუდო ადგილის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მოხვედრის შემთხვევაში - სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობისათვის დადგენილი წესით.

2.13. მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს დავალების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს მასშტაბით არსებული ენერჯეტიკული პოტენციალის შესწავლას. შესაბამისად, შესაძლებელია წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის პარამეტრები ან/და ადგილმდებარეობა შეიცვალოს სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-ს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

3. მიწის საკუთრების უფლება და მშენებლობის ნებართვა

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით გადაცემას.

3.2. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის პროცესში, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

4. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

4.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

4.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ დანართი N2-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროგრესს, რომელიც უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებულ შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული

მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში, მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შესაბამისი ხარისხის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილია კომპანიას განუსაზღვროს დამატებით 3 (სამი) თვემდე გონივრული ვადა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი დრო არ განაპირობებს 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

5. მემორანდუმის მოქმედება

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

5.2. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) დანართი N1-ით გათვალისწინებული იმ ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის ნაწილში, რომელთა:

ბ.ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.ბ) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.გ) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება 2.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე;

გ) თუ ადგილი ექნება 2.8. პუნქტის ერთი ან მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს შესაბამის ჰიდროელექტროსადგურ(ებ)თან მიმართებაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს 2.9. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

6. ცვლილებები

წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. თუ მემორანდუმის რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ეს არ იმოქმედებს მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

7. შეტყობინება

მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორექსონდენცია, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და

გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ მიმღების მიერ მისი მიღებისთანავე.

8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

8.1. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.


8.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ასლები, მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.


10. ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა



კახა კალაშვილი

შპს „Iori Hydro„




დავით ზარიძე

დანართი N1

#	ჰიდროელექტროსადგურის დასახელება	მდინარე	მდინარის დონე, ზღვის დონიდან
1	სიონი ჰესი 1	იორი	1016-993 მ.ზ.დ.
2	სიონი ჰესი 2	იორი	986-966 მ.ზ.დ.
3	სიონი ჰესი 3	იორი	956-936 მ.ზ.დ.

დანართი №2

	ხელმოწერიდან 3 თვეში	ხელმოწერიდან 6 თვეში
ჰიდროელექტროსადგურების დასახელება:	სიონი ჰესი 1, სიონი ჰესი 2, სიონი ჰესი 3	
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების და ზუსტება	-	
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება	-	
გეოლოგია, გეოფიზიკა	-	
სეისმური ანგარიში	-	
სამშენებლო მასალების კვლევა	-	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები	-	
ჰიდრაულიკური კვლევები	-	
ალტერნატივების ანალიზი	-	
ტექნიკური დიზაინი	-	
ინფრასტრუქტურა	-	
ელექტროენერჯის წარმოება		-
ქსელთან მიერთება, გადამცემი ხაზი		-
გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სოციალური რისკების ანგარიშის მომზადება		-
სამუშაოების მოცულობის უწყისი		-
მშენებლობის ორგანიზაცია		-
ეკონომიკური ანალიზი		-
ფინანსური ანალიზი		-
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა		-
მუშახელის მომზადების გრაფიკი		-
ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშის წარდგენა		-



საქართველოს შინაგარეო განკარგულება

№1204 2015 წლის 11 ივნისი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „Iori Hydro“-ს შორის დასაადები
ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „Iori Hydro“-ს შორის დასაადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.
2. საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

წ.



დრაკლი ლარიაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010103507205915

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№3210

24 / აპრილი / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 21 აპრილის №04/1505 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „Iori Hydro“-ს შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. აქვე შევნიშნავთ, რომ შეთანხმების პროექტის მე-5 მუხლი შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს, კერძოდ, 5.2 მუხლის „დ“ პუნქტი ფარავს „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ პირობას, რის გამოც არ არსებობს „გ“ პუნქტით გათვალისწინებული პირობის ცალკე გამოყოფის საჭიროება.

პატივისცემით,

გ. დხაჭიფაანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში მიმდინარე წლის 23 თებერვალს კომპანია შპს „იორი ჰიდრო“-ის მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო

წინადადების შესახებ

ენერჯეტიკული დეპარტამენტის

დასკვნა

საინვესტიციო წინადადება მიზნად ისახავს თიანეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე იორის ენერჯეტიკული რესურსის ოპტიმალურად გამოყენებას, პოტენციური მცირე ჰიდროელექტროსადგურების განხორციელებადობაზე კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, შემდგომში მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის მიზნით.

წარმოდგენილი წინადადების თანახმად ჰესების ტექნიკური პარამეტრებია:

ჰესი 1:

1. ზედა ბიეფის ნიშნული - 1016 მ;
2. ქვედა ბიეფის ნიშნული - 993 მ;
3. დადგმული სიმძლავრე - 1,7 მგვტ;
4. საშუალო წლიური გამომუშავება - 7,8მლნ.კვტ.სთ;
5. ტურბინის ტიპი - კაპლანი;
6. საპროექტო ღირებულება- 3,2 მლნ.აშშ.დოლარი;

ჰესი 2:

1. ზედა ბიეფის ნიშნული - 986 მ;
2. ქვედა ბიეფის ნიშნული - 966 მ;
3. დადგმული სიმძლავრე - 1,7 მგვტ;
4. საშუალო წლიური გამომუშავება - 7,8მლნ.კვტ.სთ;
5. ტურბინის ტიპი - კაპლანი;
6. საპროექტო ღირებულება- 3,12 მლნ.აშშ.დოლარი;

ჰესი 3:

1. ზედა ბიეფის ნიშნული - 956 მ;
2. ქვედა ბიეფის ნიშნული - 936 მ;
3. დადგმული სიმძლავრე - 1,7 მგვტ;
4. საშუალო წლიური გამომუშავება - 7,8მლნ.კვტ.სთ;
5. ტურბინის ტიპი - კაპლანი;
6. საპროექტო ღირებულება- 3,08 მლნ.აშშ.დოლარი;

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მოცემულ ნიშნულებს შორის განხორციელებადია, შეიცავს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N40 ბრძანების, დანართი N1-ის 2-ე მუხლით მოთხოვნილ დოკუმენტაციას და ხელს არ უშლის საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N125 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ჰესების ნუსხაში არსებული პროექტების განხორციელებას.

პატივისცემით,

დავით შარიქაძე

დეპარტამენტის უფროსი



**ამონაწერი მენარმეთა და
არასამენარმეთო (არაკომერციული)
იურიდიული პირების რეესტრიდან**

განაცხადის ნომერი: 578221
 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13013311
 ამონაწერის მომზადების თარიღი: 11/02/2013 18:51:31

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს Iori Hydro
 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ.ფანასკერტელის ქ., №18, ბინა №67
 ელექტრონული ფოსტა: davzari@gmail.com
 საიდენტიფიკაციო კოდი: 404940383
 სამართლებრივი ფორმა: მებღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 05/04/2012
 მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი
 საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01024031423, დავით ბარიძე, დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
45403030703, მებღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება MS Bizness, ლატვია, , , ,	100.00000000%	404940383-SH-00002

გირავნობა

ყადალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის